ხელშეკრულება №01-19/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 26 ივნისი 2012 წ.

ერთის მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **გიორგი ჩახნაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „უნიგრუპი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი პირველის სახით**, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის №25 ბრძანების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებრე ხელშეკრულებას საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – ხელსეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველი“-ს მიერ **<u>საავტომობილო საწვავის</u> (შემდგომში „საწვავი“)** შესყიდვა, რომლის ტიპი/მარკა და მოცულობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართის შესაბამისად.

1.2 **„საწვავის“** მიწოდება განხორციელდება ტალონებით ან/და პლასტიკური ბარათების მეშვეობით შემსყიდველის წინასწარი შეკვეთების შესაბამისად 2012 წლის 31 მარტის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და საწვავის ერთეულის ფასის განსაზღვრის წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება **შეადგენს 78360.00 (სამოცდათვრამეტი ათას სამასსამოცი) ლარს**. ღირებულება შეიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს და **„საწვავი“-ს** შენახვის ხარჯს ავტოგასამართი სადგურებიდან შემსყიდველის მიერ საწვავის გატანამდე.

2.2 **„საწვავი“-ს** ერთეულის ღირებულება განისაზღვრება „LUKOIL“-ის ნიშნით არსებული ავტოგასამართი სადგურების ქსელში ანალოგიურ პროდუქტზე დაფიქსირებული საწვავის ფასიდან დისქაუნთის პრინციპით და აისახება მიმწოდებლის მიერ გაცემულ საგადასახადო ანგარიშფაქტურაში.

2.3 შემსყიდველის მიერ ეტაპობრივად **„საწვავი“-ს** შეძენისას, ღირებულება განისაზღვრება შემსყიდველის მიერ განაცხადის გაკეთების დღეს „LUKOIL“-ის ნიშნით არსებული ავტოგასამართი სადგურების ქსელში ანალოგიურ პროდუქტზე დაფიქსირებული საწვავის ფასს მინუს მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებისას შეთანხმებული დისქაუნთი (ფიქსირებული ფასდაკლება) და აისახება საგადასახადო ანგარიშფაქტურაში.

2.4 ერთი ლიტრი ბენზინი - „პრემიუმავანგარდის“ ღირებულებაა 2.20 (ორი ლარი და ოცი თეთრი); სატენდერო წინადადებით განსაზღვრული დისქაუნთი აღნიშნულ პოზიციაზე შეადგენს **0.04**

შპს "უნიგრუპი" 205054894 UNI GROUP LTD

(ოთხი თეთრი) ლარს. შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ერთი ლიტრი ბენზინი „პრემიუმავანგარდის“ ღირებულება შეადგენს **2.16 (ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარს.**

2.5 ერთი ლიტრი დიზელი - „ევროდიზელის“ ღირებულებაა 2.30 (ორი ლარი და ოცდაათი თეთრი); სატენდერო წინადადებით განსაზღვრული დისქაუნთი აღნიშნულ პოზიციაზე შეადგენს **0.04** (ოთხი თეთრი) ლარს. შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ერთი ლიტრი დიზელი „ევროდიზელის“ ღირებულება შეადგენს **2.26 (ორი ლარი და ოცდაექვსი თეთრი) ლარს.**

2.4 ამ მუხლის მიხედვით მხარეთა მიერ შეთანხმებული „საწვავი“-ს ღირებულება ძალაშია 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. საწვავის მიწოდების პირობები

3.1 ტალონების საშუალებით **„საწვავი“-ს** მიწოდება განხორციელდება შემდეგი წესით: შემსყიდველის მიერ განაცხადის გაკეთებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის **„საწვავი“-ს** ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში.

3.2 პლასტიკური ბარათებით საწვავის შესყიდვისას, მიმწოდებელი შემსყიდველს დაუმზადებს და მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს მოთხოვნილი რაოდენობის პლასტიკურ ბარათებს განაცხადის გაკეთებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში. პლასტიკური ბარათების გადაცემის შემდეგ, მათი დაზიანებისა და განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე. პლასტიკური ბარათებით **„საწვავი“-ს** მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ განაცხადის გაკეთებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, რისთვისაც მიმწოდებელი შესაბამის ვებ-გვერდზე გაუხსნის შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშს, სადაც შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მინდობილობით განსაზღვრული პირი, პაროლისა და მომხმარებლის სახელის გამოყენებით, შეძლებს ორგანიზაციის ანგარიშზე არსებული საწვავის გადანაწილებას შემსყიდველის კუთვნილ პლასტიკურ ბარათებზე, ასევე პლასტიკურ ბარათებზე არსებული საწვავის ხარჯვისა და ნაშთის გაკონტროლებას, დეტალური ამონაწერის მიღებას.

3.3. პლასტიკური ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, მიმწოდებელი შემსყიდველის წერილობითი განაცხადის საფუძველზე განახორციელებს ბარათის ბლოკირებას, დაამზადებს ახალ ბარათს, რომელზედაც ჩაირიცხება დაკარგულ ბარათზე წერილობითი განაცხადის მომენტისათვის არსებული ნაშთი. შემსყიდველი ვალდებულია, ახალი ბარათის დამზადების მოთხოვნის შემთხვევაში, ბარათის დაკარგვის ან შემსყიდველის ბრალით მისი დაზიანების გამო, გადაუხადოს მიმწოდებელს ბარათის საფასური 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

3.4 ტალონებისა და პლასტიკური ბარათების საშუალებით **„საწვავი“-ს** მიწოდება განხორციელდება „LUKOIL“-ის ნიშნით არსებულ ავტოგასამართ სადგურებზე.

3.5 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო **„საწვავი“.**

3.6 **„საწვავი“-ს** ტალონების მიწოდებასთან და პლასტიკური ბარათებზე **„საწვავი“-ს** ჩატვირთვასთან ერთად მიმწოდებელი შემსყიდველს გამოუწერს და გადასცემს სპეციალურ საგადასახადო ანგარიშფაქტურას.

3.7 **„საწვავი“-ს** ტალონების და პლასტიკური ბარათების მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე: ***ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.***

UNI GROUP
205054894
Corporate Services Department
GEORGIA

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს, ტალონებისა და პლასტიკური ბარათების საშუალებით **„საწვავი“-ს** მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მინდობილობით აღჭურვილი პირი.

4.2 **„საწვავი“-ს** ხარისხთან დაკავშირებით კონტროლის მიზნით, შემსყიდველის მიერ შემოწმების ჩატარების მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ შემოწმება ჩატარებული იქნება საერთაშორისო სტატუსის მქონე სერთიფიცირებული ლაბორატორიის მიერ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

5.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

5.3 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევისას, დამრღვევ მხარეს, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.05 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3 იმ შემთხვევაში, თუკი დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2012 წლის 31 მარტის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1 მიმწოდებელი იტოვებს უფლებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და

შემსყიდველთან შეთანხმების საფუძველზე, არ წარადგინოს საბანკო გარანტია. გარანტიის წარდგენის შემთხვევაში მისი მოქმედების ვადა და გამოყენების პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას (გარანტიის არსებობის შემთხვევაში), თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10.4 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით, მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს ნავთობპროდუქციის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) შპს "უნიგრუპის" სატენდერო წინადადების პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

12.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის, №52
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900;
ს/კ №202051224

მინისტრის მოადგილე

გიორგი ჩახნაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „უნიგრუპი“

რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი,
ანგარიშის №GE65BG0000000883370201;
კოდი BAGAGE22;
საიდენტიფიკაციო კოდი 205054894
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.
ტელ: 38-00-13; 37-38-78; ფაქსი: 37-38-08

დირექტორი

გიორგი პირველი

დანართი №1

2012 წლის "25" „იანვარი" №————" ხელშეკრულებასთან

№	საწვავის ტიპი	მიწოდების ფორმა (ტალონი, პლასტიკური ბარათი)	რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი
1	ბენზინი „პრემიუმავანგარდი"	ტალონი, პლასტიკური ბარათი	30000	2.20 – 0.04 = 2.16	64800.00	ქ. თბილისი
2	დიზელი „ევროდიზელი"	ტალონი, პლასტიკური ბარათი	6000	2.30 -0.04 = 2.26	13560.00	ქ. თბილისი

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: